№ 262
კვირა, 11 დეკემბერი 1894

1877--1894

# ივერია

№ 262
კვირა, 11 დეკემბერი 1894

ბაზეთი ღ... ს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

ვაუწყებთ განსვენებულის ბელლეტრისტის **ალექსანდრე მიხეილის ძის ყაზბეგის** ნიჭის პატივის-მცემელთ, რომ ხვალ, კვირას, მისის გარდაცვალების წლის თავზედ, 11 დეკემბერს ნაშუადღევის პირველს საათზედ ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად.
(2—უ.—2)

## „ი ვ ე რ ი ა“
გამოვა 1895 წელსაც
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტ ფ ი ლ ი ს ი,
**„ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

ქართული წარმოდგენა
კვირას 11 დეკემბერს
არტისტიულ საზოგადოების დარბაზში
ქართული წარმოდგენების მმართველ ამხანაგობის დასისაგან წარმოდგენილი იქნება ვასილ აბაშიძის მონაწილეობით

I
## ვაის გავეყარე კუის შევეყარე
კომედია 3 მოქმედ. გად. ვალ. გუნიას მიერ

II
## ჯერ დაიხოცნენ მერე დაქორწილდნენ
ვოდევ. 2 მოქმედ. გადმოკეთ. თავ. რაფიელ ერისთავის მიერ

მონაწილეობას ღებულობს მთელი დასი
დასაწყისი 8 საათზედ.
რეჟისორი ალექსეევ-მესხიევი
ადმინისტრატორი ვალერიან გუნია

ამ ნომერთან ქალაქს გარედ ჩვენს ხელის მომწერლებს ეგზავნებათ დამზღვევის საზოგადოების „როსსიას“ განცხადება.

**რუსეთის ცეცხლისაგან დამზღვეველი საზოგადოება** ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ პეტრე ალექსანდრეს ძე კობილიანსკის ადგილზედ, რომელიც ამ საზოგადოების აგენტად იყო ქ. ბათუმისა და მის მიდამოსთვის დანიშნული, დაინიშნა აზნაური ვლადიმირ მიხეილის ძე ოგიევსკი-ოხოტსკი, რომლის ანტორაც იმყოფება ა. ნ. თაიროვის სახლებში სასტუმრო „იმპერიალის„ ქვეშ.
(3—10—25—3)

ტფილისი, 11 დეკემბერი

—

დღეს სწორედ ერთი წელიწადი შესრულდა, რაც ჩვენს მწირსა და ღარიბს ლიტერატურას გამოეცალა დანამდვილებით ერთი დედა-ბოძი; სწორედ ერთი წელიწადი შესრულდა, რაც ცრემლი დავაფრქვიეთ განსვენებულის ალექსანდრე ყაზბეგის კუბოზედ და მწუხარე გულითა და ტანჯულის სულით გავაცილეთ ცხედარი მთისაკენ, მთის შვილი თავისს მშობელს ჩავაბარეთ.

გავაცილეთ ცხედარი, მაგრამ განსვენებულის სახე დღესაც თვალ-წინ გვიდგაო, დღესაც თვალ-წინა გვყავს მის მიერ უკვდავის კალმით ძლიერად გამოქანდაკებული სურათები ელგუჯასი, გოჩასი, მზალოსი, ელისოსი და სხვათა მრავალთა მთის ბუნების შვილთა, თავისუფლად აღზრდილთა და თავისუფლების სიყვარულის გამოტანჯულთა, ბედ-გამწარებულთა.

დღეს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში დანიშნულია წლიური წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად და, რაღა თქმა უნდა, ყოველი ქართველი, ყოველი პატივის-მცემელი მისის ნიჭისა, ვისაც-კი გარემოება ნებას მისცემს, არ დაიყოვნებს ამა წლიურს წირვასა და პანაშვიდზედ დასწრებას, თუმცა სახელი განსვენებულისა ჟამსა ყოველსა ქართველთა გულში ღრმათ, ღიდრონის ასოებით არის ამოჭრილი და შენდობა მისი ყოველს ქართველს და ქართულის ენით მოსაუბრეს მარად ბაგეზედ აკერია.

დღევანდელს ჩვენს გაზეთში მოგვყავს მცირე ამბავი განსვენებულის პაპის გაბრიელ დიმიტრის ძის ყაზიბეგისა და საჭიროდ ვსთვლით ორიოდე ცნობა გავუზიაროთ თვით ჩვენის განსვენებულის მწერლის შესახებაც. ალექსანდრე ყაზიბეგი დაიბადა 1846 წლის 14 ნოემბერს. მისი მამა იყო მიხეილ გაბრიელის ძე ყაზბეგი, ხოლო დედა თავადის ესტატე თარხან-მოურავის ასული ელისაბედი. პირველ-დაწყებითი სწავლა განსვენებულმა სახლშივე მიიღო გუვერნიორთა და გუვერნიორ-ქალების ხელმძღვანელობით, რომელთა სიკეთე და სიკარგე მარტო იმათი უცხოქვეყნელობა იყო. შემდეგ ახალგაზდა ყაზიბეგი მიაბარეს მაშინდელ, მე-60 წლების, კეთილშობილთა პანსიონებში: ჯერ ჰაკეს და მერე კანონიჩის პანსიონში. ეს პანსიონები ნაკლს არ იყო აცილებული და ვერ გასწვრთნიდნენ ბ თავისს გუნებაზედ ვერ აღზრდიდნენ ერთად-ერთს შვილს მშობლებისას, რომელნიც პაწია სანდროს დიდად ეფერებოდნენ და სათუთად ინახავდნენ. რასაკვირველია, ვერც სწავლის მხრით შეიძლეს მისი მომზადება, ასე რომ გიმნაზიაში მხოლოდ თავისუფალ მსმენელად შევიდა.

1866 თუ 1867 წელს განსვენებული ალექსანდრე წავიდა მოსკოვს, სადაც მაინც ვერც ერთს სასწავლებელში ვერ მოიკიდა ფეხი. 1874 წ. ალექსანდრე მოსკოვიდგან დაბრუნდა, სცხოვრობდა სახლში და ლიტერატურაში იმისი ხსენებაც არა ყოფილა 1879 წლის დამლევამდე და 1880 წლის დასაწყისამდე. ამ ხანებში-კი მან უცბად გამოიჩინა სწორედ შეუდარებელი ნიჭი ბელლეტრისტისა და საერთო ყურადღებაც დაიმსახურა, უკვდავ ჰყო კიდეც სახელი თვისი თვისთა თანამემამულეთა შორის..

ფარნაოზი

### გაბრიელ დიმიტრის ძე ყაზიბეგი

(პაპა განსვენებულის ალ. ყაზიბეგისა)

ქართველები იტყვიან: „ავი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო“ და ამის მოპირდაპირე აზრი ის არის, რომ კარგი შვილი დედ-მამის სიქადული და თითქმის მკვდრეთით აღმადგენელია. განსვენებულის ალექსანდრე ყაზბეგის სიკვდილის შემდეგ თითქმის იმის წინაპართ საფლავი შეიძრაო: მოგონებას აღარა აქვს დასასრული. გაბრიელ დიმიტრის ძე ყაზბეგი იყო პაპა განსვენებულის ალ. ყაზიბეგისა, მთაში დიდათ პატივცემული და სახელოვანი კაცი. საზოგადოთ მოხევეებს ამ უკანასკნელ დრომდის, მანამ ყაზბეგის თხზულება არ გახშირდა და არ გააცნო საქართველოს ის პატარა კუთხე, პატარა, მაგრამ სიცოცხლით სავსე, ნაგლეჯი მთლად საქართველოს არსებისა,—არავინ ყურადღებას არ აქცევდა. თუმცა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მთის ხალხს უკ ნასკნელი ალაგი არას დროს არა სჭეროა, და როდესაც მეფის სურვილი აღსრულდა და რუსეთს შეუერთდა საქართველო, მაშინ თერგის და არაგვის პირები შეიქმნა ასპარეზათ, და იმათი შვილები-კი მოქმედ პირებათ იმ მოძრაობისა და ცვლილებისა, რომელიც რუსის ჯართან ერთად უნდა სწვევიყო საქართველოს. აი ამ საინტერესო დროს წარმომადგენელია გაბრიელ ყაზბეგი.

როდესაც მეფე ირაკლიმ თავისი სურვილი გამოაცხადა რუსეთთან შეერთებისა, გაბრიელ ყაზბეგს უბრძანა მთის ხალხი დაეფიცებინა რუსეთის საერთგულოდ და ყოველი ღონისძიება ეხმარა, რომ დარიელის კარი მშვიდობით გამოევლოთ

## ფელეტონი

—

### თვალთ-მაქცობა

(მაგია)

„ჩვენი ცხოვრება თვალთ-მაქციობააო“ იტყოდა ხოლმე ცხონებული პაპა და მერე ისეთის მტკიცე კილოთი, გეგონებოდათ მართლა მიმხვდარა ამ საიდუმლოებას და დაწვრილებითაც შეუსწავლიაო. ნეტა ეხლა რაღას იტყოდა საცოდავი, როდესაც ტომას სტივენსი თავისს თვალით ნანახს საკვირველებას მოგვითხრობს თვალთ-მაქცობის შესახებ. მაგრამ ვიდრე ტომას სტივენსის ნაამბობს გადმოგცემდეთ, გავიცნოთ ვინ არის ტომას სტივენსი.

იგი გახლავთ ამერიკის მოგზაური ფრიად ნასწავლი და განათლებული კაცი. ამ კაცს ბევრი რამა ჰქონდა ნანახი და გაგონილი, მაგრამ ერთს დროს მაინც ურწმუნო, სკეპტიკი იყო და ქვეყნად არაფერი სჯეროდა, არაფერი სწამდა. როგორც ცნობის მოყვარემ, განათლებულმა და ამასთანავე შეძლებულმა კაცმა, მარკო პოლოს, ანრი კელლარის და ჰენრის გენზალდტის *) თხზულებათა კითხვით გატაცებულმა, მოიწადინა ინდოეთში მოგზაურობა. უნდოდა თავისს თვალით ყველაფერი განეცადა. წავიდა, იმოგზაურა, და ამ მოგზაურობამ დაარწმუნა იგი, რომ წინად თურმე სცდებოდა. ინდოეთიდგან იგი დარწმუნებული დაბრუნდა.

რაში დარწმუნდაო? იკითხავთ. იმაში, რომ: კაცს შეძლება ჰქონია ბუნება და მისი ძალა ისე მოიხმაროს როგორც თავისს ნებაა. კაცის ჭკუა-გონება ბუნების ძალასთან შეერთებული ისეთს რამეს მოიმოქმედეს, რასაც ზოგი სასწაულ-მოქმედებას ეძახის და ზოგი-კი უბრალო თვალთ-მაქცობას, ფოკუსს.

სტივენსმა ინდოეთში მოგზაურობის დროს დაწვრილებით შეიგნო ეს თვალთ-მაქცობა, თითქმის მიხვდა ამ საიდუმლოებას და ახლა უნდა სხვასაც განუზიაროს თავისი ცოდნა სხვასაც დააჯეროს ის უცნაური და თითქმის წარმოუდგენელი ამბები, რაც თითონ ერთს დროს არა სწამდა. ტომას სტივენს, როგორც გამოცდილს ფოტოგრაფს, თანვე მოუტანია აუარებელი საოცარი და საკვირველი ფოტოგრაფიული სურათები. მაგალითად ერთს სურათზედ აღნიშნულია: ტრიალს და ტრიალს მინდორზე წამოწოლილან რამ ეენიმე ინდოელი და ევროპიელნი, რომელნიც საუზმეს შეექცევიან, ჰაერში სასმელით სავსე ფიალები დასტრიალებთ და თავისს და თავად უვარდებათ ხელში ან ტუჩებთან—მიეკვრიან.

განცვიფრებულმა მნახველებმა ჰკითხეს თურმე სტივენს:

განა შენის თვალითა ნახე ეს საკვირველება?

— დიაღ, ვნახე და გადავხატე კიდეც.

აი კიდევ მეორე სურათი: შუა ტყეში ვეებერთელა ადგილია გაჩეხილი. ჰაერში, ამ განაჩეხის თავზედ, ხალხი, როგორც ფრინველები ისე დაფრინავენ.

ეს თვალთ-მაქცობა, როგორც კვერთხების გველად გარდაქცევა, უთქვამს ტომასს, მე ერთმა იოგოსმა *) მაჩვენაო, ამასთანავე ისიც იქონიეთ სახეში, რომ ამ თვალთ-მაქცობას მდიდრულად მორთულსა და ლამპრებით განათებულს დარბაზებში-კი არ სჩადიანო, სადაც შეიძლება ადვილად მოსტყუვდეს ადამიანი, არამედ ტრიალ მინდორზედ, მზისა და ცის ქვეშ, მალხათმებისა *) და ან რომელიმე იოგოსის ლოცვითაო. ინდოეთში მოგზაურობის დროსაო, დასძენს სტივენსი, ერთს იოგოსს დავუმეგობრდი და იმის ნდობაც მალე დავიმსახურე. ეს იოგოსი მეტის-მეტი დაფიქრებული, ნასწავლი და სახელგანთქმული მოხუცი იყო. სტივენსი, რომელიც მარტო იმიტომ მოგზაურობდა, რომ ცოდნა შეეძინა და ჭეშმარიტებას შეჰყროდა, ცნობის მოყვარეობაში ჩააგდო ამ მოხუცმა. აღმოჩნდა, რომ იოგოსი სრულიადაც არ ამაყობდა თავისს სიბრძნით და არც წარმოუთქვამს ვითომც სასწაულ-მოქმედებრივი ძალა ჰქონოდეს. იგი მხოლოდ იმას ამბობდა, რომ «ეს ჩვენი საიდუმლოება ძველთაგანვე გვაქვს გადმონაცემი და იმათ კიდევ დაკვირვებისა და შორს-გამჭვრეტელობის მეოხებით შეიძინესო“. თავისს თავს-კი მარტო ამ საიდუმლოს შემნახველად სთვლიდა. თუ ჰსურს რომ ეს ცოდნა არ დაჰკარგოს კაცმა და უფრო შეითვისოს, შეისწავლოს და გაავრცელოს, უნდა ჰქონდეს შორს გამჭვრეტელობისა და დაკვირვების ნიჭი, უნდა იყოს უანგარო, ფხიზელი, და თავ-დაჭერილი. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლიან კაცს ბუნებაზედ და ნივთიერებაზედ იქონიოს თავისი ძალა და თუ ეხლა ბუნების კანონები ჯერ-ჯერობით სავსებით არ იცის კაცმა, თუ ამ მხრით მეცნიერება შეზღუდულია, მოვა დრო, რომ კაცი ყველაფერს მიხვდება და შეუძლებელად აღარაფერი ეჩვენება.

უმთავრესი საიდუმლოება კაცისათვის—სიკვდილია, და ამ საიდუმლოების შესწავლას დიდი, გულს-მოდგინებით ეკიდებიან ინდოელები. ამ ჟამადაც-კი დროებით შესწყვეტავენ ხოლმე თავისს სიცოცხლეს და ისევ

*) ამათ ინდოეთში უმოგზაურნიათ და საყურადღებო ცნობებიცა აქვთ შეკრებილი ამ ქვეყნის შესახებ.

*) იოგისი—ბრძენი. მესაიდუმლე უმთავრესი ხარისხისა.

**) მალხათმები — უფრო დაბალის ხარისხის მესაიდუმლენი არიან.

რუსის ჯარსა. მთის ხალხმა მეფის ბრძანება შეასრულა და დიდის წვალებით გარდმოაცილა რუსეთის ჯარი უგზო-უკვლო მთა-ღრეზე; შემდეგში, როდესაც მეფე მიიცვალა და ბატონიშვილმა ალექსანდრემ მოინდომა რუსების ხელმეორეთ გაყრა, მაშინ გაბრიელს უბძანა, რომ იმის სურვილი ასრულებაში მოეყვანა, მაგრამ გაბრიელ ყაზბეგმა მოახსენა, რომ რადგანაც მთის ხალხმა ფიცი მიიღო ერთგულებისა, ეხლა ყოვლად შეუძლებელიაო ღალატი. მაშინ ალექსანდრე ბატონიშვილი გაწყრა და ბრძანა, გაბრიელის აკლება და თვალების დათხრა. ამ 25 წლის წინად მიიცვალა ერთი მოხუცი 120 წლისა, რომელიც გვიამბობდა ხოლმე იმ დროს ამბავს, როდესაც ბატონიშვილის ჯარი მივიდა სტეფანწმინდას, გაბრიელის ოჯახის ასაკლებად; თითონ ეს ჩვენის დროის მოხუცი, მაშინ ვაჟ-კაცი, სხვათა შორის, თოფით ხელში თურმე იცავდა ყაზბეგის სახლ-კარს. მოხუცი ძია (ასე ეძახდნენ ამ მოხუცს ყველა ხევს მცხოვრებლები) გვეტყოდა ხოლმე: „შვილო, სამი დღე და ღამე დიდი სროლა გვქონდა, გალავნის კარი ჩავკეტეთ, ჩვენ შიგნიდგან ვისროდით თოფსა და გარს ჯარი გვეკრა; მინამ კაიკავიდგან რუსები მოგვეშველებოდნენ, ამ დღეში ვიყავით. ერთი ზარბაზანიც გვქონდა, რომლითაც ვიცავდით ჩვენის გალავნის კარსა“.

გაბრიელ ყაზბეგი დიდი ღვთისმოყვარე და ჭკვიანი კაცი ყოფილა. იმას უნდოდა თურმე ბერად შედგომა და ამ სოფლიო დიდკაცობას და სიმდიდრეს არ ეკიდებოდა; მაგრამ ხალხს ძალიან უყვარდა და სწამდა და დიდი გავლენა ჰქონდა ხალხზედ. რადგანაც თვალების დათხრას ექადოდნენ ყაბარდოში გასულა და იმ დროს ცოლიც შეურთავს ჩერქეზთ ბატონის ქალი, რომელთანაც მიეცა, ქალებს გარდა, ორი ვაჟი. რუსები გამაგრდნენ საქართველოში, პოლიტიკური ცხოვრება შეიცვალა და გაბრიელიც დაბრუნდა თავისს სახლ-კარში. თუმცა მთავრობისაგან დიდად პატივცემული იყო და ქართველთა-შორის პირველად გენერლობა იმას მოუვიდა, მაგრამ გაბრიელი ისევ მთის კაცად დარჩა, სიკვდილამდის თავისის ხალხის ერთგული და იმათთვის თავ-დადებული. იმისი ოჯახი მუდამ სავსე იყო სტუმრითა, იმის პურ-მარილი ზღვა იყო. იმ დროს ფოსტის სადგურები არ იყო, გზა უხეირო იყო, მისვლა-მოსვლა რუსეთთან ხშირი და ძნელი, და ამის გამო არც ერთი დიდიკაცი, არც რომელიმე მმართველი, რუსეთში მიმავალ-მომავალი არ ასცდებოდა იმისს ოჯახს. „სტუმარი ღვთისა არისო“, იტყოდა მთის კაცი და პურ-მარილს გაუწილადებდა.

გაბრიელის მიწერ-მოწერა, ეხლა ძვირფასი ნივთი იქნებოდა ქართველ მწერლობისათვის, მაგრამ ჩვენ-და სამწუხაროდ, არც ერთი ნაგლეჯი აღარა სჩანს. ერთი ჩემი ნაცნობი მიამბობს, რომ თითონ უნახავს გრძელ მრგვალ ჯოხზედ დახვეული წიგნები (ქაღალდები) მეფეებისა, ზოგი თეთრსა და ზოგიც ლურჯ სქელ ქაღალდზედ დაწერილები ქართულად. რასაკვირველია, დიდად საინტერესო იქნებოდა ეხლა ჩვენთვის იმ წიგნების წაკითხვა, რომლებიც სხვა შუქით განგვინათლებდნენ იმ დროის მოქმედებას და მომქმედთ. მაგრამ დღეს სულ დაკარგულია.

ეს ქაღალდები იმიტომ არის დაკარგული, რომ განსვენებული ალექსანდრე გონებაზედ არ იყო და არავინ იცის, სად წაიღო? გაბრიელს, როგორც ზემოდა ვსთქვი, ორი ვაჟი დარჩა, რომლებიც უკანასკნელ ხანებში გაიყარნენ. ალექსანდრეს მამა მიხეილ უფროსი იყო და მათის ჩვეულებით ქაღალდები იმას უფრო მეტი შერჩებოდა და, მაშასადამე, ალექსანდრეს დარჩა მამის სიკვდილის შემდეგ. მეორე ძმის წილობისა მარტო ერთი დიმიტრი, ალექსანდრეს ბიძაშვილი, იყო შინა და მამის ქაღალდები იმასა ჰქონდა; დიმიტრი და ალექსანდრე კარგა ხანი მარტონი, თავთავის სახლებში სტეფან-წმინდას (ყაზბეგში) სცხოვრობდნენ და როდესაც დიმიტრი მიიცვალა 1880 წელსა იმის ქაღალდებიც მთლად ალექსანდრეს შერჩა. ალექსანდრეს უკანასკნელი ცხოვრება ჩვენ ყველას თვალ-წინ გვიდგას: იმის სიჩქარითა და ენერგიით წერა და მაშინვე ბეჭდა წიგნებისა, შემდეგ იმის ავადმყოფობა და სამკურნალო, მერე სიკვდილი, ერთი მეორეზე ისე მსწრაფლად მოხდა, რომ გონსაც არავინ მოვიდა, რომ შეეკრიფა ის ხელთნაწერები და ქაღალდები, რომლებიც ალექსანდრესა ჰქონდა. ყოველი მწერალი, როდესაც თავისს თხზულებას გამოსცემს, ხელ ნაწერს (არგინალს) შეინახავს, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, უკვდავ „ელგუჯას“, „ხევის ბერის გოჩას“, „მოძღვრის“ და სხვ. ხელ-წერილებს ვერა ვხედავთ!.. ყველა ქართველი ვალდებულია ვინც-კი იცის სადმე ანკი ერთი ნაგლეჯი ამ ხელ-წერილებისა, გამოაცხადოს, წარმოადგინოს და ამითი დიდი შემწეობა მისცეს ქართულ მწერლობას.

## სამეგრელოს თავად-აზნაურობის საქმე.

—

17 აპრილს 1890 წ. გამოვიდა ახალი კანონი, რომლის ძალითაც სამეგრელოს თავად-აზნაურობამ თავისი ღირსება უნდა ეძიოს და საბუთით ამტკიცოს ქუთაისის საანზაურო დეპუტატების საკრებულოში. ამ კანონით ხუთის წლის ვადა არის დადებული. ვინც ამ ვადაში საქმეს არ დაიწყებს ან და დაიწყებს და თავისს ღირსებას ვერ დაამტკიცებს და უარი ეყოფა, გლეხთა საზოგადოებას უნდა მიეწეროსო.

იქიდამ აქამომდე სამეგრელოს თავად-აზნაურობამ დიდძალი ხარჯი და შრომა გასწია ამ საგანზედ, ბევრი ეძება საქმისათვის საჭირო საბუთები, ბევრი იარა ქუთაისს და კიდევ უფრო ბევრი ტფილისს კანონიერი დაბადების დამამტკიცებელი საბუთების მისაღებად საქართველო-იმერეთის უწმინდესი სინოდის კანტორიდამ; მაგრამ ისე მცირე ნაწილმან მოასწრო საქმის გამოწყობა, რომ სახსენებელიც არ არის.

თუნდა იმას თავი რომ დავანებოთ, მრავალს უეჭვოდ კეთილშობილს სახლობას და გვარს სრულიად არავითარი საბუთი არ აღმოუჩნდა, იმათაც, ვისაც საბუთები აქვსთ, ვერ გამოიყენეს იგინი. საბუთი უნდა იყოს ნაბოძები ან მეფისაგან, ან მთავრისაგან, და ჩვენში რომ მეფობა მოისპო, მას შემდეგ ოთხმოც წელზედ მეტია და უკანასკნელი სამეგრელოს მთავარი დავით დადიანიც ორმოცი წ ის წინად გარდაიცვალა (1853 წ.). ამის გამო დღეს იშვიათად თუ ვინმე იპოვება იმისთანა, რომელსაც პირადად ჰქონდეს ნაბოძები საბუთი, თუ ვისმე რაიმე ქაღალდი აბადია, თითქმის ყველასა აქვს მამის, პაპის და კიდევ უფრო ძველი წინაპარის საბუთი და დღევანდელი მთხოვნელი ვალდებულია დაამტკიცოს თავისი ჩამომავლობა იმ წინაპარისაგან, რომელიც საბუთში სწერია. ამის დამტკიცება-კი ძლიერ მძიმე და მრავალთათვის შეუძლებელი დარჩა. ერთი რომ სამეგრელოს ეკკლესიებში მხოლოდ უკანასკნელს დროებში დაარსდა წესიერად მეტრიკის წიგნების შედგენა, მთავრების დროში-კი თითქმის სრულიადაც არ ყოფილა. მეორე, ვინც საეკკლესიო საბუთებში სწერია ან დაბადების, ან ასარების სიებში, იმათაც ვერ მიიღეს სინოდის კანტორიდამ საჭირო საბუთები, რადგანაც მთხოვნელთა რიცხვი ერთობ დიდია და კანტორისათვის ყოვლად შეუძლებელი დარჩა მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

ამისთანა მდგომარეობამ სამეგრელოს თავად-აზნაურობა აიძულა ეთხოვნა მართებლობისათვის ვადის გაგრძელება და სინოდის კანტორიდამ საბუთების მიღების გაადვილება. ამ საგანზე მოხდა სხვა და სხვა დროს თავად-აზნაურობის საგანგებო კრება ცალ-ცალკე მაზრებში. ზუგდიდის მაზრის კრებამ, გარდა დადგინებისა ვადის გაგრძობაზედ და სინოდის კანტორიდამ საბუთების მიღების გაადვილებაზედ, აირჩია ცალკე დეპუტაცია, რომელთაც მიანდო საქმის თვალყურის დევნება და პირადად შუამდგომლობა უმაღლესის მართებლობასთაა ქუთაისში და ტფილისში. ამ დეპუტაციის წევრებად ვიყავით არჩეულნი: თავადი ნ. ზ. დადიანი (მარშალი), პოლკოვნიკი გ. კ. გვათუა და მე. რადგანც ამ საქმეს დიდი მნიშვნელობა აქვს მრთელის სამეგრელოს თავად-აზნაურობისათვის და ყველა ამის კითხვაშია, მე, ჩემის ამხანაგების თანხმობით, გაზეთის საშუალებით ვაუწყებ საზოგადოებას საქმის მდგომარეობას. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა ღენერალ-ლეიტენანტმან შალიკოვმან სრულიად საფუძვლიანად და პატივსადებიანად იცნო სამეგრელოს თავად-აზნაურობის თხოვნა. რადგანაც უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზი სინოდის კანტორიდგან საბუთების მიღების სიძნელეა, ბ-ნ გუბერნატორმან თავისი მოსაზრებაც დასძინა და უჩვენა ღონისძიება მისაღებად, რომ მომავალშიაც იმავე მდგომარეობაში არ დარჩეს სამეგრელოს თავად-აზნაურობა. გუბერნატორის წარდგინება მთავარ-მართებელთან 12 ოქტომბერს წავიდა ტფილისს. ჩვენც უკან გავყევით. მთავარ-მართებელმან კარგის თვალით შეხედა სამეგრელოს თავად-აზნაურობის თხოვნას და წარდგინება მოახდინა პეტერბურგს მის შესაწყნარებლად. როდესაც საქმე პეტერბურგს მივიდა და იმ ჟამად მთავარ-მართებელიც იქ იყო, რომელსაც ტელეგრამით თხოვნა გაეგზავნა ყველა სამეგრელო-თავად-აზურობის მარშლების დ დეპუტაციის წევრებისაგან. ბ-ნს მთავარ-მართებელს ჩვენ ვთხოვდით, რომ ჩვენს თხოვნას აღმოუჩინოს მფარველობა პეტერბურგში. ამის შემდეგ, თუ საჭიროებამ გვიჩვენა, შეიძლება კიდევ თხოვნა გავუგზავნოთ შინაგან საქმეთა მინისტრს და მით გათავდება ჩვენგან ნაკისრი მოვალეობა.

ზემოხსენებულს უნდა დავსძინოთ

---

ცოცხლდებიან. რამდენიმე მაგალითია იმისი, რომ იოგოსები ცოცხლად დაიმარხებოდნენ ხოლმე და რამდენისამე ხნის განმავლობაში (ერთის თვისა, წლისა) ისევ გაცოცხლდებოდნენ. ერთი ამ გვარი მაგალითი თავისს თვალით უნახავთ ინგლისის ჯარის პოლკოვნიკს მედლის და მის აფიცრებს.

ერთმა უფროსმა იოგოსმა უბრძანა თურმე თავისს მოწაფეებს, რომ მათ იგი ცოცხალი დაემარხათ. მოწაფეებმაც აასრულეს მოძღვრის ბძანება. მუმიასავით გაახვიეს ნაჭრებში, თვალებსა, პირსა და ცხვირის ნესტოებზედ რაღაც წითელი ცომი წასცხეს, ლითონის კუბოში ჩასდეს, მაგრად დახურეს თავი და მოწმების თანადასწრებით ათს ადლიან სამარეში ჩაუშვეს. მერე მიწა მიაყარეს და ზევიდგან ფეტვი დასთესეს. ამ ამბავს მედლი და მისი აფიცრები გაფაციცებით ადევნებდნენ თვალ-ყურს. ეჭვის თავიდგან ასაცილებლად თავისივე დარაჯები დააყენეს, რომლებიც დღე-მუდამ ჰდარაჯობდნენ. ორმოცი დღე რომ გავიდა ხელმეორედ შეჰკრიბეს ამ დასაფლავების მოწმები, სამარიდგან კუბო ამოიღეს და აი რა ნახეს. გვამი გაუხრწნელი იყო მხოლოდ ტანისამოსი დაფერფლილიყო. მოწაფეებმა შემოხსნეს ნაჭრები, პირიდგან ცომი აალეს, თბილს წყალში გაბანეს, ოდნავ გაღებულ პირში ბერვა დაუწყეს და თითოეული ასო დაუზილეს. პირველად იოგოსმა ოდნავ დაიწყო სუნთქვა, რომელიც თანდათან გაუძლიერდა, სახეზედ ტანჯვა და მოწყენილობა დაეტყო, მაგრამ მალე-კი მოშორდა. არ გასულა ერთი საათი კუბოდგან ამოღების შემდეგ და იოგოსი მოსულიერდა, დაიწყო სიარული და მოჰყვა ლაპარაკს.

იოგოსები ამტკიცებენ, რომ დედამიწიდგან, კაცი თვისს ნების ძალდატანებით, შეიძლებს საკვებ ნივთიერების ამოღებასაო. სტივენსი მოგვითხრობს რომ, ერთხელ მედა ერთი იოგოსი ტიალ მინდორზედ მივდიოდით. გზაში საგზალი გამოგველია და მე ცოტა არ იყოს შევფიქრიანდიო ბოლოს ჩემს-თანამგზავრს შევეკითხე: საიდგან უნდა ვიშოვოთ საჭმელი მეთქი. ის გაჩუმებული იყო და ღრმა ფიქრებში წასული, თითქოს არ გაუგონია ჩემი ლაპარაკი ხმას არა მცემდა. კარგა ხნის ლაპარაკის შემდეგ, როგორც იყო გულისხმაში ჩავაგდე. მაშინ-კი შეჩერდა. მახლობელს ბუჩქს ცეცხლი წაუკიდა. როდესაც ცეცხლი ჩაჰქრა და ნიადაგი გაცივდა, იოგოსმა ამოთხარა პატარ-პატარა ორმოები, ქამრიდგან რაღაც თესლეულობა ამოიღო, დანერწყვა იგინი, ჩაფლა მიწაში და ძალზედ დააშტერდა. რამდენისამე წუთის შემდეგ მარცვლები აჯეჯილდა, ღერო დაიმშვენა, ფოთლებით დაიფარა, და ნაყოფიც გამოიბა. ორის საათის შემდეგ „ბანანას“ ხეების ჰალა აღმოცენდა, რომელთაც ნაყოფი მრავალი დაისხეს დ ჩვენც შიმშილი მოვიკალით, არ გასულა ორი საათი და ხეებმა ისევ ჭკნობა დაიწყო, ფოთლები ჩამოსცვივდათ და გაქრნენ. ჩვენ რომ გზას გაუდექით და უკან მოვიხედეთ, ცარიელი ტიალი და გაჯამწვარი ნიადაგი-ღა დავინახეთ.“

ყველაზედ საყურადღებო ის არის რომ, სტივენსი ჰპირდება საზოგადოებას, იმგვარს ფაქტებს მოვიყვან, რომლებიც რაციონალურად ახსნიან ამ მოვლენათა, რადგანაც იგინი დამოკიდებულნი არიან ბუნების კანონებზედ, რომლების არსებობაც ჯერ არ იცის მეცნიერებმა და ინდოელებმა-კი დიდი ხანია შეისწავლესო. ამ კანონების საიდუმლოება იოგოსმები და მახათმები მარტო ერთმანეთს უზიარებენო“.

საკვირველი და დაუჯერებელია, განა, ზემოდ მოხსენებული ამბები, შეიძლება, როგორც სტივენსაც ჰგონია, ბევრს სიცილადაც არ ეყოს, და დაჯერებას ხომ ვინ-ღა სჩივის, მაგრამ სტივენსს მტკიცედა სჯერა, რომ მისგან ნანახი მაგალითები თავზე ხელ აღებულ ურწმუნოსაც დააჯერებენო. მილიონობით შეხვდებით იმ გვარს ინდოელის, განაგრძობს სტივენსი, რომელსაც ვერას გზით ვერ დააერწმუნებთ წყ ლის გაყინვას. იმათთვის ყინიულის ნაჭერი უფრო გასაოცარია, ვიდრე ერთს წუთში მთელის ხის გაჩენა, რომელიც, იოგოსის შელოცვით, თვალის დეხამხამებაზედ ფოთლებითა და ნაყოფით იმოსება. საქმე იმაში გახლავთ, რომ წყლის გაყინვას ისრე ადვილად ვერ წარმოიდგენენ, რადგანაც ინდოეთში თავისს დღეში ყინული არა ყოფილა სიცხეების გამო, თუმცა-კი ამასთანავე სჯერათ, რომ ადამიანს ყველაფრის გაკეთება შეუძლიანო. ხის ამოსვლა-კი ჩვეულებრივი თვალ სანინო მოვლენა არის. მართალია ინდოელი იოგოსი ერთს თვალის დახამხამებაზედ აკეთებს იმას, რასაც რამდენიმე თვე და წელიწადი სჭირია, მაგრამ ამ შემთხვევაში ინდოელის თვალთ-მაქცობა მარტო ერთს დარგზედ-დროზედ ჰმოქმედობს. დანარჩენი დარგი ხის ზიდისა-კი ისევ ის რჩება.

დადგება ის დროო, დასძენს სტივენსი, როდესაც ყველა კაცს შეძლება მიეცემა უცბად, ერთის თვალის დახამხამებაზედ დედამიწიდგან მკვებავი ნივთიერება ამოიღოს, ან კიდევ იფრინოს ჰაერში, როგორც ფრინველმა და იცურავოს წყალში, როგორც თევზმა. ერთის სიტყვით, ნივთიერების მბრძანებელი თავისს კანონებს დაუმორჩილებსო.

რაც შეეხება თვით სტივენს, სრულიადაც არ აპირობს მოსესავით და ფარაონის მოგვებსავით ისასწაულ-მოქმედოს, ამას მხოლოდ ჰსურს ფაქტებით დაამტკიცოს, თუ როგორ შეიძლება თვალთ-მაქცობა დ ან როგორი ადამიანი ითვალთ-მაქცებს. ამ გვარი ადამიანები-კი სტივენსის სიტყვით მრავალია. და იმათი ცნობაც კარგად შესძლებია... სტივენსი აპირობს საჯარო ლექციები წაიკითხოს თვალთ-მაქცობის შესახებ. ჯერ ამერიკაში და მერე ინგლისში...

აი, თურმე ასეთი საკვირველებანი ყოფილა ქვეყანაზედ, და პაპიჩემისათვისაც ნამდვილად გულს უგრძვნია, როდესაც „ჩვენებურის თვალთ მაქცობით“ გულმოკლული, მალი-მალ მეტყოდა ხოლმე: „ჩვენი ცხოვრება, შვილო, თვალთ-მაქცობააო“.

ცანი

შემდეგი: უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი თხოვნა შეწყნარებული იქნება. თვით თხოვნის საფუძვლიანობა და უმაღლესი ადგილობრივი მმართებლობის შუამდგომელობა გვაიმედებს ამაში. მაგრამ ვინიცის, იქნება ჩვენი მოლოდინი არ გამართლდეს და საზოგადოება რამდენათაც შეიძლება მზათ უნდა იყოს ამისთანა შემთხვევისათვის. ვისაც კარგათ აქვს გამოწყობილი საქმე, რაღას დაუცდის, დაიწყოს; ვისაც-კი არა აქვს საქმე გამოწყობილი, ცდას ნუ დააკლებს, მაგრამ უკანასკნელ თვემდის დაიცადოს, და მაშინ თუ ვადა აღარ მოგეცა ყოველს შემთხვევაში საქმე აღძრას დეპუტატთ საკრებულოში, რომ შესავსებელი საბუთები წარადგინოს მერმეთ, სანამდის საქმე გარდაწყდებოდეს.

ლუარსაბ ლოლუა.

# ახალი ამბავი

*** სალიტერატურო ფონდის პროექტი ჩვენს პატივცემულს მწერალს ქ-ნ ეკ. გაბაშვილისას—წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის გარდაუცია. ამიერიდგან ამ საქმის დაბოლოვება ზემოხსენებულ საზოგადოებაზედ არის დამოკიდებული.

*** დღეს არტისტთა საზოგადოების სადგომში ქართული წარმოდგენა არის დანიშნული. ვიდრე ქარვასლის თეატრს შეაკეთებენ წარმოდგენები აქ გაიმართება ხოლმე.

*** ჩვენს მკითხველებს უკვე ახსოვთ, ბრილიანტების მოვაჭრის ებრაელ მეერ რაშკევიჩის მოკვლა. რაშკევიჩის გვამი პოლიციას ჯერაც არ აღმოუჩენია. მხოლოდ ამ დღეებში ერთმა ამ საქმეზე შეპყრობილმა ებრაელმა, რომელიც ძალიან ავად არის, აღიარა, რომ მეც მონაწილეობას ვიღებდი რაშკევიჩის მოკვლაშიო და ბრილიანტები, სხვათა შორის, ოქრომჭედელს ბ-ნს მივყიდეთო. გვამი-კი დავკუწეთ და მტკვარში გადავაგდეთო.

*** საქართველოში (ჩაქვაში) ჩაის მოყვანის საქმე, როგორც ეტყობა საერთო ყურადღებას იზიდავს. მაგალითად, ამ დღეებში პოლკოვნიკ სოლოვცევს თავისუფალ-საეკონომიო საზოგადოების პრეზინდენტისაგან დეპეშა მოუვიდა, რომლითაც მთელის საზოგადოების მინდობილობით ულოცავს პირველს ნაბიჯს და უსურვებს საქმის რიგიანად წარმართვას.

საუფლის-წულო მამულების მმართველობის უფროსი თავადი ვიაზემსკი უცხადებს ბ. სოლოვცევს, რომ თქვენგან მოყვანილი ჩაი არაფრით ჩამოუვარდება ჩინეთის ჩაისა და ულოცავს საქმის რიგიანად დაგვირგვინებას „ნოვ. ობოზ“.

*** ქალაქის კასსაში გასულ ნოემბრის თვის განმავლობაში სულ 69,887 მან. 96 კაპ. შემოსულა და იმავე თვის განმავლობაში ქალაქს დაუხარჯნია სულ 86,781 მან. 36 კაპ. პირველ იანვრიდგან-კი პირველ დეკემბრამდე ქალაქს შემოსავალი ჰქონია 908,624 მან. 85 კაპ. და ამ თერთმეტი თვის განმავლობაში დაუხარჯნია 847,132 მან. 40 კაპ.

*** გუშინ წინ 9 დეკემბერს, ქალაქის გამგეობამ გაუგზავნა საგუბერნიო მმართველობას უკანასკნელი ცნობანი თუ როგორ ფასობს ხე-ტყე ტფილისში. ეს ცნობანი ტფილისის გუბერნატორს მოსდომნია სხვა-და-სხვა საგუბერნიო საჭიროებისთვის.

*** ამ ბოლოს დროს ტფილისში ძალიან გავრცელდა ქურდობა. 9 დეკემბერს, ნიკო ლერიქაშვილს დუქანი გაუტეხეს. ქურდები ბანიდან ჩასულან და შაქრის თავების წაღება, რომ ვეღარ მოუსწრიათ, ოთხი თავი ბანზედვე დარჩენიათ.

*** სოფ. დიმი (ქუთაისის მაზრა). ამას წინად სოფელს დიმში მცხოვრებს, აზ. დარისპან კვინიხიძეს, სახლში როცა დიდი და პატარა ყანაში იყვნენ წასულნი, ვიღაც ქურდ-ბაცაცები შესულან, და რაც-კი საჭირო და გამოსადეგი ნივთი ყოფილა, გაულაგებიათ. ეს პირველი მაგალითი არ არის ჩვენში ქურდობისა. აკლებულია ქურდ-ბაცაცებისაგან ჩვენი სოფელი და ხმის გამცემი-კი არვინ არის.

*** სიღნაღი: წმ. სტეფანის უბანში, ივერიის მონასტრის მამულების არხიმანდრიტის სახლის წინ არის ერთი პატარა სახლი, ამ სახლის გარეთ დერეფანში წევს უპატრონოთ უძლური და დამბლით ჩავარდნილი ლოგინად მდებარე კაცი, ლევან პეტრეს ძე ნონიკაშვილი. აგერ ათი წელიწადი მეტია, რაც ეს საცოდავი იტანჯება და ყურის მგდებელი-კი არავინა ჰყავს. ერთად ერთი ღვთის მოყვარე და დიდად პატივცემული კაცი ბატონი ნ. მ. ს—შვილი იყო ამ უბედურის შემბრალებელი და ისიც გარდასახლდა ქ. ტფილისში, და იქიდგან აქ ხელის მოწვდენა რასაკვირველია ძნელია. ახლა დარჩენილია უპატრონოთ და კეთილი კაცის შველასა თხოულობს.

## კორესპონდენცია

**სოხუმი**, 3 ოქტომბერი. სხვა-და-სხვა ლოდინმა და იმედმა, სწორე მოგახსენოთ, გული გაგვიწვრილა. ყოველი იმედი და მოლოდინი დღემდის გაცრუებულია. ჩვენთვის არც რკინის გზაა, არც ნავთსადგურის შეკეთება, არც ქალაქის თვით-მართველობის შემოღებაა და არც სხვა რამ სიკეთე. დღეს შემთხვევით მეთორმეტე საათზედ გავიარე ქალაქის კლუბისაკენ და იქ დამხვდა სხვა-და-სხვა ნაირად მორთული საზოგადოება, უმეტესობა ჩვენებურად იყო ჩაცმულ-დახურული, დანარჩენნი-კი ევროპიულად, თათრულად, ბერძნულად და სპარსულად. ვიკითხე მიზეზი ამ ჭრელის საზოგადოების აქ შეყრისა და მითხრეს, რომ ქალაქის დეპუტატებს ირჩევენო. მეც ავერიე ხალხში. ხალხი სჯიდა სხვა-და-სხვა საგანს, მაგრამ ჩემი ყურადღება მიიქცია ყველაზე უფრო იმან, რომ ზოგიერთები ამტკიცებდნენ ქალაქის თვით-მართველობის შემოღების მავნებლობას. გაიძახოდნენ: საცა ქალაქის თვით-მართველობაა შემოღებული ყველა ქალაქები დაიღუპა, დავალიანდაო. ცოტა შეგნებულნი, რასაკვირველია, წინააღმდეგნი იყვნენ და უმტკიცებდენ, რომ შენს სახლში თითონ შენ უნდა იყო ოჯახის გამგეო, და თუ ვერ უპატრონებ შენ ოჯახს, შენვე იქნები დამნაშავეო.

ამ ბაასის დროს გაისმა ხმა: „ეკკლესიაში წამობრძანდით და ფიცი მიიღეთო“. ხალხი დაიძრა და გასწია ეკკლესიისაკენ, საცა ფიცი მიიღო. იქიდამ მოვიდნენ და დასხდნენ კლუბის დიდს დარბაზში, საცა არჩევანისათვის ყოველი მზად იყო. თავს მჯდომარემ მოკლე სიტყვით აუხსნა მისი მოვალეობა და შემდეგ სთქვა: „რიგით ძველს დეპუტატებს უნდა ეყაროს კენჭი პირველად, თუ გსურთ, და მერე ახლებსაო“. ხალხმა დაიგრიალა: უკენჭოდ, უკენჭოდ ძველები, ახალი არ გვინდა, რაც ძველებმა გააკეთეს, იმას ახლები გააკეთებენო! ლივიცკი წამოდგა და სთქვა, კენჭი ეყაროს ძველსაც და ახალსაცო. ამას დასთანხმდა თავსმჯდომარეც და შემდეგ დაასახელეს კანდიდატები კენჭის საყრელად. დაიწყო კენჭის-ყრა. შედეგი ამ კენჭის ყრისა მოხსენებულია გუშინდელ გაზეთის ახალ-ამბებში.

ისევ ძველი დეპუტატები დარჩნენ. შემდეგ დაადგინეს მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის ნიკოლოოზ მეორის ტახტზე აბრძანებისა დ ჯვარ ისწერის სახსოვრად ორის ღარიბის ვაჟისა და ორის ღარიბის ქალის სწავლის ხარჯი და სახელმძღვანელოების ფასი ქალაქის შემოსავლიდან იქმნას ხოლმე გადადებული ყოველ წლობითაო.

გადაღმელი.

**ბათუმი.** 7 დეკემბერს ღამით ცეცხლი გაუჩნდა საიატ შახ-აზაზოვის, ვიხოვსკის და აბრამოვიჩის ქარხნებს და თითქმის სულ გადაიბუგა. თუმცა მრავალი ხალხი, ჯარის-კაცნი, ცეცხლის გამქრობი რაზმი ეხვივნენ და ცდილობდნენ ყოვლის ღონისძიებით ცეცხლის ჩაქრობას, მაგრამ ვერა გააწყვეს-რა. მხოლოდ ორს საათზედ, რადგანაც ნაწვიმარი იყო და ამ დროსაც წვიმამ იმატა, ცეცხლმა ცოტათი იკლო. დიდძალი ხალხი, რომელიც მუშაობდა ამ ქარხნებში, საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა, რომელთა შორის მრავალი ცოლ-შვილიანია. ეს მუშა ხალხი ზოგი ნივთების დაწვას ჩიოდა, ზოგი ფულების დაკარგვას, ზოგს ძლივსღა გამოესწრო ბინიდგან. ქარხნების მცხოვრებთ ამ დროს ღრმათ სძინებიათ. რომ ნახეს უბედურება დაატყდათ თავზე, ერთი ტირილი და ღრიალი მორთეს. ამბობდნენ: „ჩვენ დავიღუპეთ და დავრჩით საწყლებად, ულუკმაპუროდ და შიშვლები, თორემ ქარხნის პატრონებს რა უშავთო, ისინი თავისს დანაკარგს ერთს ორად გაინაღდებენო, ქარხნები დაზღვეული ყოფილა. ცეცხლი ჯერაც არ გამქრალა.

მ. ბ. ჩხიკვაძე

## ქართველ მეფეების არჩილ პირველისა, ლუარსაბ მეორისა და დავით მესამის ხატები

(წერილი რედაქციის მიმართ)

„ივერიის“ მე-245 №-ში დაბეჭდილი იყო მცირე შენიშვნა ჩემ მიერ დაცულს ხატების შესახებ.

მეფე არჩილ პირველის ხატისა, მეფე ლუარსაბ მეორის და მეფე დავით მესამისა და ეწერა, რომ ერთიც კიდევ ღვთისმშობლის ხატიაო.

ღვთისმშობლის ხატი-კი არ არის, მაცხოვრის ვნების ხატია. ეს ხატები, მართალია, ჩემს ხელთ არის, და ყველა ძვირფასის ხელოვნებითაცაა, მინაზედ ზეთის ფერადის წამლით და ოქროს ვარაყით ნახატი. ავტორი იმ წერილისა სცდება, როდესაც ამბობს, რომ ეს ხატები პირველს ანტონ კათალიკოზს ეკუთვნოდაო, პირველსკი არა, იგი ნაქონია მეორე ანტონ კათალიკოზისა, რომელიც მეფის ირაკლის მეორის ძე იყო.

კათალიკოზი ანტონ მეორე ძმა იყო ბატონიშვილის მარიამისა და ამ მარიამ ბატონიშვილის შვილი იყო ტფილისის მოურავი ესტატე დავითის ძე ციციშვილი.

როდესაც განსვენებული ანტონ მეორე კათალიკოზი რუსეთს ნიჟნი-ნოვგოროდში გადაიყვანეს, მან თან წაიყვანა თავისი დისწული ესტატე ციციშვილიც.

ანტონ კათალიკოზმა, თავისს სიცოცხლითვე უანდერძა ყოველივე თავისს საცხოვრებელი თავისს დისწულს ესტატე დავითის ძე ციციშვილს. როდესაც კათალიკოზი გარდაიცვალა, ესტატე ციციშვილმა ჩაიბარა ყოველივე მისი ქონება.

ძვირფასის ბიძის და წმინდა პატრიარქის საუკუნოდ დაკარგვამ მოურავს ესტატე ციციშვილს დიდი მწუხარება დაატეხა თავს და კარგა ხანსაც ისევე იმ ქალაქში დარჩა, სადაც ანტონ კათალიკოზი გარდაიცვალა.

მაგრამ აქ ესტატე ციციშვილიც ავად გახდა და თითქმის უკანასკნელს დღეში იყო, როცა აცნობეს ესტატე ციციშვილის ერთად ერთს შვილს დავითს, რომ რაც შეიძლებოდა მალე მისულიყო თავისს მძიმედ შეწუხებულ მამასთან. იმ ჟამად დავით ესტატეს ძე ციციშვილი ყმაწვილი კაცი იყო და საქართველოს სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა. ვიდრე დავითი თავისს უფროსს დაეთხოვებოდა და იმ სიშორეზედ წავიდოდა, მოგეხსენებათ, უწინდელ დიდკაცობის შორს წასვლისათვის რა გაჭიანურებული მზადება იყო ხოლმე საჭირო, დიდი დრო გავიდა და დავითმა მომაკვდავს მამას ცოცხალს ვეღარ მიუსწრო. რაც-კი რამ ძვირფასი სიმდიდრე ან ანტონ კათალიკოზისა იყო და ან ესტატე ციციშვილისა, მთლად სახლის მოსამსახურეთ და ხელქვეითთ აეკლოთ და ბევრი აღარა დაეტოვებინათ-რა ესტატე ციციშვილის მემკვიდრისათვის.

დავით ესტატეს ძე ციციშვილი როცა მივიდა ქალაქ ნიჟნი-ნოვგოროდში, იპოვნა სია, რომლითაც იმის მამას აწერილი ჰქონიყო ყოველივე თვისი და კათალიკოზის ძვირფასი განძეულობა. მაგრამ ამათგან მესამედისა აღარაფერი აღარა დახვდარა. თუმცა ძალიან ბევრი ეძია და კიდეც იდავიდარაბა, მაგრამ ამაოდ. დაბრუნდა დავით ციციშვილი თავისს სამშობლო ქვეყანაში იმდენის სიმდიდრისაგან ხელ-ცარიელი, მხოლოდ ეს ხატები და სხვა-ღა, რაც-კი გაძარცვას გადარჩენილიყო თან წამოეღო.

ეს დავით ესტატეს ძე ციციშვილი გახლდათ მამა ჩემი და ეს ხატები იმისაგან მაქვს დარჩენილი.

იასონ დავითის ძე ციციშვილი.

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ყველამ უწყის, რომ სომხებს თავიანთი ისტორიკოსი მოსე ქორენელი უდიდეს მწერლად მიაჩნიათ, რომელიც მოგვითხრობს ჰაიკანელ ტომის ღირსებას და მისს დიადს კულტურულ ღვაწლს. ვენაში გამოვიდა სივრცით პატარა, მაგრამ ღირსებით დიდი გამოკვლევა გამოჩენილი კარიერისა „ახალნი წყარონი მოსე ქორენელის შესახებ“ (Nouvelles sources de Moïse de Khoren). *) ეს გამოკვლევა აბათილებს ყველა ლეგენდას ხსენებულს მწერალის შესახებ შეთხზულს.

სომხები გვარწმუნებენ, რომ მოსეს ისტორია დაწერილია 460 და 480 წლებს შუა; კარიერი-კი ამტკიცებს, რომ მოსე თავისის „სომხეთის ისტორიის“ წერის დროს სარგებლობდა თხზულებით „Acta Silvestris“-და სოკრატის საეკლესიო ისტორიითაო. მაგრამ მეექვსე საუკუნეზე ადრე სომხურად არ უნდა ყოფილიყო ნათარგმნი ხსენებული ლათინური თხზულება, სოკრატის ხელთნაწერი-კი, შიგ ჩართული აუარებელი შენიშვნებით, რომელნიც მოსე ქორენელს შეტანილი აქვს თავისს ხელთნაწერში, გადათარგმნილი არის სომხურს ენაზედ 690 წელს; მაშასადამე, თავისის ისტორიის დაწერა არ შეეძლო, მერვე საუკუნის პირველს წლებამდისაო. ამიტომ, რადგანაც სომხეთის ძველ ისტორიკოსთა შორის მოსე ქორენელი ერთად-ერთია, რომელიც ოდნავაც არის ქრონოლოგიურს წესს იცავს, კარიერი თავისის გამოკვლევით მთელს სომხურ ქრონოლოგიას უარჰყოფს. ეს კარიერს შემთხვევით-კი არ აღმოუჩენია, არამედ ყველა იმ წყაროების სისტემატიურად შესწავლის შემდეგ, საიდგანაც მოსე ქორენელი ჰკრებდა ცნობებს. თავისს პირველ ნაშრომში „მოსე ქორენელი და პატრიარქთა გენეალოგია“ კარიერმა დაამტკიცა, რომ მოსე ქორენელს სომხების პატრიარქები გამოჰყავდა ბიბლიის პატრიარქების ყალიბზე და ამ მხრივ იმის შრომა ნამდვილი ფალსიფიკაცია იყო. 1892 წელს ბერმა დანიელმა თავისს თხზულებაში სომხურ ენაზედ „ცრუ კალისტენის გამოკვლევა“ დაამტკიცა, რომ მოსე ქორენელს თავისის ისტორიისათვის ბევრი რამ გადმოუღია ამ ცრუ ავტორისაგან. ამ სახით შესანიშნავი „მამა სომხების ისტორიისა“, ახალი გამოკვლევებით, პლაგიატორი გამოდის, რომელსაც ძნელად თუ რამე დაეჯერება. ეს მერვე საუკუნის სომხების პატრიოტი ყველა ნათარგმნ ბერძნული ხელ-ნაწერებით სარგებლობდა თურმე: იქიდამ ამოკრებილი ამბები, რომლებიც-კი მოსწონდა, გადასხვაფერებული და სახელებ-შეცვლილი გადაჰქონდა სომხეთში, რომ ამით დიადად გამოეყვანა ბაგრატიდების გვარი, რომელსაც ის სომეხთა ყველა გვარეულობაზედ მაღლა აყენებდა და სომხეთის მეფეებს უსაყვედურებდა, რომ იმათ არ გაიტანეს სამშობლოს ამისთანა დიდებული მოღვაწეები. კარიერის გამოკვლევა გადათარგმნილია სომხურ ენაზედ მხითარისტებისაგან, ამათ არ ითაკილეს ამ გულ-უბრყვილო მოსე ქორენელის ფალსიფიკატორის გამოაშკარავება, რომელმაც შეცდომაში შეიყვანა თავისი ხალხი, რომ იმას აქვს ბრწყინვალე წარსული და ასეთი გამოჩენილი ისტორიკოსი ჰყავს. ეს გარემოება დიდს პატივსა სდებს მიუდგომელ და

*) იხ. «Историческій Вѣстникъ», Май, 1894 г.

სიმართლის მოყვარე სწავლულ ბერებს.

## ნეკროლოგი

† სოლომონ კეისარი მალანი *)

—

შაბათს, 13 (25) ნოემბერსაო, ამბობს «Times»-ი: გარდაიცვალა ინგლისში გამოჩენილი ღვთის-მეტყველების დოქტორი სოლომონ-კეისარი მალანი, დოქტორი მალანი დაიბადა ჟენევაში 1812 წ. 1837 წ. მან მიიღო სამეცნიერო ხარისხი. ინგლისური აქამდის არ იცოდა და როდესაც ეგზამენს იჭერდა, სთხოვა, რომ ნება მიეცათ პასუხის დაწერისა ან ფრანგულს, ან გერმანულს, ან ისპანიურს, ან იტალიანურს, ან ლათინურს და ან ბერძნულს ენებზედ, მაგრამ უარი უთხრეს. შემდეგ მალანი დანიშნულ იქმნა კალკუტაში პროფესორის ხარისხით, მაგრამ იქ ვერ გასძლო დიდხანს ავადმყოფობის გამო. 1843 წ. ის მიღებული იქმნა „Balliol College“-ის წევრად, ოქსფორდში. 1872 წ. იყო იმერეთის ეპისკოპოზ გაბრიელთან და იქადგა ქართულად (?) მალანის წიგნთსაცავი ეხლა ოქსფორდს ინდოეთის ინსტიტუტშია.

დოქტორი მალანი მხატვარიც იყო; იმისს პალესტინის მხატვრობას ეხლაც ნახავთ „Burligton House“-ში. განსვენებულს აღმოაჩნდა საკუთარის ხელით ნაწერები ებრაულ, სანსკრიტულ, ჩინურ, კოპტურ, სირიულ, ეთიოპურ, საიადიკურ, მემფიტიკურ, გოთიკურ, ქართულ, სლავიანურ, არაბულ, სპარსულ, ტიბეთურ, იაპონურ, ანგლო-საქსურ და უელსის ენებზედ. ბოდლეინის წიგნთსაცავს ოქსფორდს დოქტორმა მალანმა შესწირა თავისის ხელით დაწერილი ფსალმუნი 80 ენაზედ.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ „ივერიის“ საშუალებით პასუხი გავსცე იმ ვიღაც კორესპონდენტს, რომელიც, თქვენისავე სიტყვით, „დაუჯერებელს“ ამბავს გატყობინებთ ქ. ოზურგეთის მასწავლებლების შესახებ. მართლა და, რა დასაჯერებელია, რომ ორი კაცი-მასწავლებელი, ასეთს პაწაწა ქალაქში, როგორიც ოზურგეთია, მთელს ღამეებს ბანქოს თამაშობაში ატარებდეს! ნეტა ვისთვის, ან რისთვის არის შეთხზული ეს პირ-ახეული ცილი?!. ნუ თუ ერთისა და ორის კაცის ყოფა-ქცევა საბუთს აძლევს კორესპონდენტს, მთელს მასწავლებლობას ასეთი შეურაცხყოფა მიაყენოს, საქვეყნოდ?

თუ კარგი ვაჟკაცი იყო ის თქვენი კორესპონდენტი, დაასახელებდა—ვინ ათენებს ღამეებს ქაღალდის თამაშობაში **)..

ერთი მასწავლებელთაგანი.

---

*) ეს ის მალანია, რომელმაც გადათარგმნა და დაბეჭდა ინგლისურ ენაზედ გაბრიელ ეპისკოპოზის ქადაგებანი და პლატონ იოსელიანის ქართულ ეკკლესიის ისტორია.

რედ.

**) რაღა კორესპონდენციის ავტორისაგან მოუნდა შეიტყოს ბ-ნმა „მასწავლებელმა“ ვინაობა იმ თავისის ამხანაგებისა, რომელთა წყალობით მთელი დასი მასწავლებელთა შეიქნა უსამართლოდ დაგმობილი? განა ბ-ნმა მასწავლებელმა თითონ არ იცის სახელი და გვარი ქაღალდის მოთამაშე თავისი ამხანაგებისა??.

ხოლო რაც შეეხება საზოგადოდ ოზურგეთის სკოლების მასწავლებლებზე ბრალდებას ერთიანად—ეს ჩვენ წინადაც საეჭვოდ მიგვაჩნდა და არ გვინდა დავიჯეროთ შემდეგშიც.

ყოველ შემთხვევაში, იმედია კორესპონდენციის ავტორი თითონ აგებს პასუხს მისგან მოწერილ ამბავზე.

რედ.

# დეპეშა

(ჩრდილოეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 დეკემბერი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორის სამეფო ტახტზედ აბძანების შემდეგ ციმბირის რკინის გზის კომიტეტის პირველს სხდომაზედ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და რკინის გზის კომიტეტის და სახელმწიფო ეკონომიის დეპარტამენტის წევრთა კრებულს შემდეგის სიტყვით მიჰმართა: „ბატონებო! მთელს ციმბირში რკინის გზის გაყვანის საქმე და მისი დაწყება ერთი უდიდესი საქმეთაგანია სადიდებელის მეფობისა მშობლისა ჩემისა; ღვთის შემწეობით დათავება ამ განსაკუთრებით მშვიდობიანობისა და განმანათლებელის დაწყებულობისა არამც თუ ჩემი წმიდა მოვალეობაა, არამედ ჩემი უგულითადესი სურვილიც არის, მით უმეტეს, რომ ეგ საქმე თვით დაუვიწყარმა მშობელმა ჩემმა ჩაშაბარა; იმედი მაქვს თქვენის დახმარებით მისგან დაწყებულს საქმეს—ციმბირის რკინის გზის გაყვანას დავამთავრებთ იაფად და უმთავრესად-კი მალე და მკვიდრად“. საზოგადო მანძილი ციმბირის რკინის გზისა უდრის 1,518 ვერსს.

**სოფია.** კაბინეტის შედგენა მინდობილი ჰქონდა საერო განათლების მინისტრს რადოსლავოვს. რადოსლავოვმა კანდიდატთა სიიდგან გამორიცხა სამი „რუსოფილი“ კაბინეტის შედგენა რადოსლავოვის მომხრეთა და ცანკოვის მომხრეთაგან ვერ მოხერხდა პეტროვის მეოხებით, რომელმაც სამინისტროში შესვლის უარი გამოაცხადა, რადგანაც აქ ცანკოვის მომხრეები ჰმსახურობენო. კაბინეტის შედგენა სტოილოვს აქვს მინდობილი.

**პეკინი.** ხუპეგის საპროვინციო ხაზინადარი, ვანგ-მიეხუნგი, რომელსაც პირველის ხარისხის წითელი „პაწია ბურთი» აქვს, ამ სამი კვირის წინედ ევროპაში წავიდა ვითარცა საგანგებო ელჩი, რათა რუსეთის იმპერატორს მიულოცოს სამეფო ტახტზედ აბძანება.

პეტერბურგის ბირჟა, 9 დეკემბერი.

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,38 | 7,41 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 147¼ | 148 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 243 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 223¼ |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 191½ |
| კირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | 101 | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | — ,, | 99 | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6%. | 101 | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | 99½ | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 97¾ | — ,, | — ,, |

# განცხადებანი

გამოვიდა, დაურიგდა ყველა წიგნის მაღაზიებსა კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული

კედლის კალენდარი

(4—6.—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**ფ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათსნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი**,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი.** 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7½ საათამდის.

**მ. ი. ფრანციუსი**, 7—7½ საათსნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

კბილის ექიმი

## ვ. ი. ჭიჭინაძე

(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდგან, ნაშუადღევის 2 საათამდის და საღამოს 4—6 საათამდის.

რთულის ოპერაციის დროს დაესწრება ექიმი ი. ს. ელიაშვილი.

(50—6.—50)

წერა-კითხვის გამავრცელებელის წიგნის მაღაზიაში ისყიდება

## ქართული ანბანი

შედგენილი

გრ. ცაგარეიშვილის მიერ

ამ ანბანში მოქცეულია წყვილწყვილად ერთმანეთში ხელოვნურად და შნოიანად ქართული ასოები, რომლებიც სახელისა და გვარის აღსანიშნავად შეიძლება ამოიჭრას ყოველნაირს ლითონის ნივთზედ (ოქროსა, ვერცხლსა, თითბერზედ და სხვ.) და მოიკეროს.

# „ივერია“

1895 წელსაც გამოვა ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 | თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 | ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 | ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 | ,, . . . . | 8 ,, 75,, | | . . . | 4 ,, 75,, |
| 9 | ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 | ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 | ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 | ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 | ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 | ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქი გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე,—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

# „ჯეჯილი“

### წელიწადი მეექვსე

გამოვა 1895 წელსაც ორ თვეში ერთხელ იმავე პოგრამით, როგორათაც აქამდის.

„ჯეჯილში“ დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთა ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშო სათამაშონი და სავარჯიშონი, სამათემატიკო გამოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენში საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს—3 მან., ტფილისს გარეშე ვაგზავნით 4 მან., ვინ 10ც ეგზემპლიარზედ მეტს დაიბარებს იმას დაეთმობა სამ სამ მან.

ცალკე ნომრის ფასი ტფილისში არის 70 კაპ., ხოლო სხვა ქალაქებში—ქუთაისს ბათუმს და გორში,—75 კაპ.,

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარიწლით, ხელის მოწერა მიიღება:

1) ტფილისში — „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Зем. Банка № 102), „ქართულ სახალხო სამკითხველოში“ და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში Артиллер. у. д. Тамамшева, возлѣ кадет. корпуса.

2) ქუთაისში—ან. ბაქრაძესთან, დიმ. ბაქრაძის სახლში.

3) გორში—ზ. დავიდოვთან.

4) ბათუმში—მ. ნიკოლაძისს სააგენტოში.

5) თელავში—მ. ცისკარაშვილის აფთიაქში.

6) საჩხერეში—ყარამან ჩხეიძესთან.

7) თიონეთში ივ. თ. ჩიბალაშვილთან.

8) ყვირილაში—თ. ხუსკივაძესთან.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

Дозволено цензурою, Тифлисъ 10-го Декабря 1894 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.